დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი № 7

ქ. დმანისი 28 ივლისი 2023 წელი

სხდომის თავმჯდომარე დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე **პაატა ყულიაშვილი**

სხდომას ესწრებოდა:

1. პაატა ყულიაშვილი
2. რამიზ რამაზანოვი
3. ოლეგი გოშუანი
4. აზერ ალიევი
5. ილია სარსევანიძე
6. სოფიო ასლამაზაშვილი
7. ლერი ბერუაშვილი
8. მიხეილ დაუთაშვილი
9. მაკა ასლანიშვილი
10. მაკა ოკმელაშვილი
11. შალვა ღამბარაშვილი
12. სტამბულ ისაევი
13. შახინ კოიალოვი
14. შოთა აკობაშვილი
15. ემილ იბრაგიმოვი
16. კახა ოქრიაშვილი
17. გუმბათ იუსუბოვი
18. გუსეინ ისმაილოვი
19. მერაბი ფოლადიშვილი
20. ლეილა მიქიანი
21. თეიმურაზ აფრასიძე
22. მაია ციხელაშვილი
23. შაჰინ გასანოვი

სხდომას აგრეთვე ესწრებოდა : დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი თემურ ტატულაშვილი, დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსი ლევან მანთაშაშვილი, დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი ბექა ლაგურაშვილი,
სხდომის მდივანი: ლომა გადრანი
სხდომა დაიწყო: 12. 00
სხდომა დასრულდა: 12. 50
დღის წესრიგი:

1	**დადგენილება:** დმანისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 8 დეკემბრის N 29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
მომხსენებელი:	**თ.ტატულაშვილი**

2	**დადგენილება:** დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დასუფთავების ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების, განაკვეთების განსაზღვრისა და მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ
მომხსენებელი:	**ბ.ლაგურაშვილი**

3	**დადგენილება:** დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო ან დმანისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ან სხვა ქონებაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის შემოღების, სანებართვო მოწმობის ფორმის გამოყენებისა და აღრიცხვა - ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ
მომხსენებელი:	**ბ.ლაგურაშვილი**

4	**განკარგულება:** დმანისის მუნიციპალიტეტის მერისათვის მოიჯარის მიერ ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისათვის დაკისრებული პირგასამტეხელოს გადახდისაგან გათავისუფლების შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე (გ.თათელაძე)
მომხსენებელი:	**ბ.ლაგურაშვილი**

5	**განკარგულება:** დმანისის მუნიციპალიტეტის მერისათვის მოიჯარის მიერ ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისათვის დაკისრებული პირგასამტეხელოს გადახდისაგან გათავისუფლების შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე (ვ.კატშანი)
მომხსენებელი:	**ბ.ლაგურაშვილი**

6	**განკარგულება:** დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების დამტკიცების შესახებ
მომხსენებელი:	**მ.ასლანიშვილი**

7	**განკარგულება:** ,,დმანისის მუნიციპალიტეტში 2023 წელს ადგილობრივი ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი პროექტების ნუსხის მოწონების თაობაზე"დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 თებერვლის №გ-109.109230584 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
მომხსენებელი:	**ლ.მანთაშაშვილი**

8	**განკარგულება:** ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დმანისის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი თანხის განაწილების შესახებ" დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 30 მარტის №გ-109.109230895 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
მომხსენებელი:	**ლ.მანთაშაშვილი**

სხდომის თავმჯდომარემ პაატა ყულიაშვილმა საკრებულოს წევრებს წარუდგინა დღის წესრიგი, რომელსაც ერთახმად დაუჭირეს მხარი

1.მომხსენებელი : თემურ ტატულაშვილმა საკრებულოს წევრებს წარუდგინა დადგენილების პროექტი დმანისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 8 დეკემბრის N 29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 01 მაისის #809 განკარგულების პირველ პუნქტში მითითებული განკარგულებების ფარგლებში, ეკონომიის საფუძველზე დარჩენილი თანხები, ჯამში

207.373,00 ლარი - მიემართოს ა(ა)იპ „დმანისის სერვის ჯგუფი“-ს შენობის (მდებარე ქ.დმანისი, 9 აპრილის ქუჩა N176) სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩასატარებლად. კერძოდ :

02_01_02 ორგანიზაციული კოდი „გზების მშენებლობა და რეაბილიტაცია“-ს „არაფინანსური აქტივების ზრდა“-ს მუხლი შემცირდეს 47.396,00 ლარით (სხვა დონის ერთეულიდან გამოყოფილი ტრანსფერი);

02_02_02 ორგანიზაციული კოდი „სასმელი წყლის სისტემების მშენებლობა/რეაბილიტაცია“-ს „არაფინანსური აქტივების ზრდა“-ს მუხლი შემცირდეს 28.152,00 ლარით (სხვა დონის ერთეულიდან გამოყოფილი ტრანსფერი);

02_06 ორგანიზაციული კოდი „სოფლის მხარდაჭერის პროგრამა“-ს „არაფინანსური აქტივების ზრდა“-ს მუხლი შემცირდეს 37.647,00 ლარით (სხვა დონის ერთეულიდან გამოყოფილი ტრანსფერი);

აღნიშნული თანხები, ჯამში 113.195,00 ლარი, გადატანილი იქნას ორგანიზაციული კოდი 02_04_01 „მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული შენობების ექსპლუატაცია და რეაბილიტაცია“-ს „არაფინანსური აქტივების ზრდა“-ს მუხლში, რომელიც 1.346,9 ათასი ლარის ნაცვლად განისაზღვროს 1.460,1 ათასი ლარის ოდენობით (სხვა დონის ერთეულიდან გამოყოფილი ტრანსფერი).

დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 20 იანვრის #გ-109.109231714 განკარგულების საფუძველზე „დმანისის მუნიციპალიტეტში 2023 წელს ადგილობრივი ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი პროექტების ნუსხის მოწონების თაობაზე“, დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს #გ-109.109230584 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე, განხორციელდეს შემდეგი ცვლილებები :

„მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული შენობების ექსპლუატაცია და რეაბილიტაცია“-ს „არაფინანსური აქტივების ზრდა“-ს მუხლი 2.083,4 ათასი ლარის ნაცვლად განისაზღვროს 1.613,4 ათასი ლარის ოდენობით, ანუ შემცირდეს 470,0 ათასი ლარით (საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე) და აღნიშნული თანხა მიემართოს :

„კაპიტალური დაბანდებები გარე განათების სფეროში“-ს „არაფინანსური აქტივების ზრდა“-ს მუხლში 120,0 ათასი ლარი და აღნიშნული მუხლი განისაზღვროს 150,0 ათასი ლარით, ნაცვლად 30,0 ათასი ლარისა (საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე);

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამა“-ს „არაფინანსური აქტივების ზრდა“-ს მუხლში 350,0 ათასი ლარი და აღნიშნული მუხლი განისაზღვროს 1.190,0 ათასი ლარის ოდენობით, ნაცვლად 840,0 ათასი ლარისა (საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე);

„ხანდაზმულთა შინმოვლისა და ჯანსაღი დაბერების პროგრამ“-ის „გრანტი“-ს მუხლიდან გადატანილი იქნას ამავე ორგანიზაციულ კოდის „სუბსიდიის“ მუხლში 30,0 ათასი ლარი (საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე);

„საპროექტო დოკუმენტაციის და საექსპერტო მომსახურების შესყიდვა“-ს „არაფინანსური აქტივების ზრდა“-ს მუხლიდან გადატანილი იქნას ამავე ორგანიზაციული კოდის „საქონელი და მომსახურება“-ს მუხლში 1,5 ათასი ლარი (საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე);

„სასმელი წყლის სისტემების მშენებლობა/რეაბილიტაცია“-ს „არაფინანსური აქტივების ზრდა“-ს მუხლიდან გადატანილი იქნას 06_02_01 ორგანიზაციული კოდი „ავადმყოფთა სოციალური დაცვა“-ს „სოციალური უზრუნველყოფა“-ს მუხლში 80,0 ათასი ლარი და აღნიშნული მუხლი განისაზღვროს 450,0 ათასი ლარით, ნაცვლად 370,0 ათასი ლარისა (საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე);

ამრიგად, დმანისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის „შემოსულობების“ და „გადასახდელების“ მოცულობა განისაზღვროს 27.735,3 ათასი ლარის ოდენობით.

აზრი გამოთქვეს:

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი დადგენილების პროექტები.
მომხრე: 23
წინაღმდეგი:

2. მომხსენებელი : ბექა ლაგურაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დასუფთავების ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების, განაკვეთების განსაზღვრისა და მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ

1. **დადგენილების მიღების საფუძველი:**

ა) საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16-ე მუხლი მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი - „მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილებებია - ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების შემოღება და გაუქმება კანონით დადგენილი წესით, მათი განაკვეთების დადგენა კანონით გათვალისწინებული ზღვრული ოდენობების ფარგლებში, ადგილობრივი მოსაკრებლების ამოღება“ ;

ბ) საქართველოს კანონის „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ მე-5 მუხლის მე-3 ნაწილი - „ადგილობრივი სანებართვო მოსაკრებლები - მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავეისათვის“;

გ) სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2021 წლის 25 იანვრის „დმანისის მუნიციპალიტეტის 2018-2019 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის ანგარიში“ N4/36 რეკომენდაცია N4 – „მერიამ საკრებულოს დადგენილების შესაბამისად უზრუნველყოს დასუფთავების მოსაკრებლის გადამხდელთა ბაზის შექმნა და წლის განმავლობაში მისაღები მოსაკრებლის ოდენობის გაანგარიშება. ასევე, შეიმუშაოს მოსაკრებლის გადახდევინების ინსტრუქცია და დანერგოს კონტროლის ისეთი მექანიზმები, რომლებიც მაქსიმალურად უზრუნველყოფს დასუფთავების მოსაკრებლის სახით მისაღები შემოსავლების მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში მობილიზებას“.

1. **დადგენილების მიღების მიზანი:**

დადგენილების მიზანია დმანისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში, დასუფთავების მოსაკრებლის შემოღება, ასე „დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასუფთავების მოსაკრებლის განსაზღვრისა და მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქცია“-ის დამტკიცება, რითიც განისაზღვრება ადგილობრივი მოსაკრებლის განაკვეთები, მოსაკრებლის გადამხდელი სუბიექტები, მოსაკრებლის გადახდისაგან გათავისუფლების საფუძვლები, მოსაკრებლის გადახდის პროცედურები და სხვა.

2. **დადგენილების ძირითადი არსი:**

განსახილველად წარმოდგენილი დადგენილების პროექტის პირველი მუხლით, დმანისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ექსკლუზიური უფლებამოსილების ფარგლებში, დაწესდება ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის.

დადგენილების პროექტის მე-2 მუხლით, დამტკიცდება პირველი მუხლით დადგენილი დასუფთავების მოსაკრებლის გადახდის წესი, განისაზღვრება ადგილობრივი მოსაკრებლის ცნება, მოსაკრებლის გადამხდელი სუბიექტები, ამ მოსაკრებლისაგან გათავისუფლებულ პირთა კატეგორიები, მოსაკრებლის ამოღებაზე პასუხისმგებელი სამსახური, მოსაკრებლის გადახდის ვალდებულების წარმოქნის, შეცვლისა და მისგან გათავისუფლების წესი და ა.შ.

მე-3 მუხლით მტკიცდება დანართი N2, სადაც მოცემულია დასუფთავების მოსარკებლების განაკვეთები, თითოეულ შემთხვევაზე ინდივიდუალურად.

ამავე დადგენილების პროექტის მე-3 მუხლით, ძალადაკარგულად ცხადდება ა) „დმანისის მუნიციპალიტეტის მოსახლეობისა და ირიდიული პირებისათვის დასახლებული ტერიტორიების დასუფთავებისათვის მოსაკრებლის შემოღების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 29 იანვრის N54 დადგენილება (02.02.2007, სარეგ. კოდი 21002001035156005160)“ .

ბ) „დმანისის მუნიციპალიტეტის მოსახლეობისა და ირიდიული პირებისათვის დასახლებული ტერიტორიების დასუფთავებისათვის მოსაკრებლის გამოანგარიშებისა და გადახდის წესის

დამტკიცების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 27 თებერვლის N57 დადგენილება (02.03.2007, სარეგ. კოდი 21002001035156005213)“ .

3. პროექტის გავლენა დმანისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტზე:

ა) განსახილველ პროექტს შესაძლოა გავლენა ქონდეს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე 14520 (თოთხმეტი ათას ხუთას ოცი) ლარის ფარგლებში;
ბ) განსახილველი პროექტი პოზიტიურად აისახება ბიუჯეტის შემოსულობების ნაწილზე.

აზრი გამოთქვეს:

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

მომხრე: 23

წინაღმდეგი:

3. მომხსენებელი : ბექა ლაგურაშვილმა საკრებულოს წევრებს წარუდგინა დადგენილების პროექტი დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო ან დმანისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ან სხვა ქონებაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის შემოღების, სანებართვო მოწმობის ფორმის გამოყენებისა და აღრიცხვა - ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ

დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო ან დმანისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ან სხვა ქონებაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის შემოღების, სანებართვო მოწმობის ფორმის გამოყენებისა და აღრიცხვა - ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ.“

დადგენილების მიზანია საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსი“ და საქართველოს კანონით „რეკლამის შესახებ“ ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულისათვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, დმანისის მუნიციპალიტეტის ან სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის აუქციონის გზით განკარგვის, სანებართვო მოწმობის შევსების, გამოყენებისა და აღრიცხვის, მოწმობის დუბლიკატის გაცემის, უვარგისი დოკუმენტის ჩამოწერისა და სანებართვო უწყებრივ რეესტრში აღრიცხვის პროცედურების ლოკალური სამართლებრივი ჩარჩოს შექმნა.

წარმოდგენილი პროექტის პირველი მუხლით, საქართველოს კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლით გათვალისწინებულ მუნიციპალიტეტის ექსკლუზიური უფლებამოსილების ფარგლებში, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წესდება გარე რეკლამის განთავსების სპეციალური ნებართვა.

დადგენილების მე-2 მუხლით, გარე რეკლამის განთავსების წესისა და სანებართვო პირობების შესრულების კონტროლზე უფლებამოსილ პირად განისაზღვრა მერიის მუნიციპალური ინსპექცია რაც შესაბამისობაშია მოცემული სამსახურის დებულებით განსაზღვრულ უფლებამოსილებებთან.

მე-3 მუხლით დამტკიცებული დანართი N1-ით დარეგულირებულია გარე რეკლამის ნებართვის გაცემის წესი და პროცედურები, მოცემულია ნებართვის გაცეემის ობიექტის საწყისი ფასის გამოთვლის მეთოდი, ნებართვის აუქციონის ფორმით გაცემის წესი და ა.შ.

პროექტის მე-4 მუხლში, კერძოდ მოცემული მუხლით დამტკიცებულ დანართ N2-ში წარმოდგენილია სანებართვო მოწმობის შევსების, გამოყენების, ასევე აღრიცხვის წესი. ასევე გამოსაყენებლად უვარგისი სანებართვო მოწმობის ჩამოწერის პროცედურები და ა.შ.

დადგენილების შემდეგი, მე-5 მუხლით მტკიცდება თავად სანებართვო მოწმობის ფორმა, რომელიც თავისი არსით წარმოადგენს მკაცრი აღრიცხვის ფორმას და დასამტკიცებლად საჭიროებს საქართველოს კანონის „მკაცრი აღრიცხვის შესახებ“ მე-4 მუხლით განსაზღვრულ პროცედურებს.

მე-5 მუხლით დასამტკიცებლად წარმოდგენილია დანართი N5 - სანებართვო მოწმობის აღრიცხვის ჟურნალის ფორმა, სადაც უფლებამოსილმა პირმა უნდა შეიტანოს ამ დადგენილებით განსაზღვრული სათანადო ინფორმაცია.

მე-6 მუხლით დასამტკიცებლად წარმოდგენილია უწყებრივი სანებართვო რეესტრის ფორმა, სადაც შეიტანება ყოველგვარი ინფორმაცია უკვე გაცემული სანებართვო მოწმობის შესახებ.

აღსანიშნავია, რომ დადგენილებით დამტკიცებული პროცედურები ითვალისწინებს, სანებართვო მოწმობის განმეორებით გაცემის შესაძლებლობას, მოწმობის დუბლიკატის სახით,

შესაბამისად დასამტკიცებლად წარმოდგენილია დანართი N6 „სანებართვო მოწმობის (დუბლიკატი) რეგისტრაციის ჟურნალის ფორმა.

დადგენილების მე-9 მუხლით მტკიცდება გამოსაყენებლად უვარგისი სანებართვო მოწმობის ჩამოწერის ფორმა, წარმოდგენილი დანართი N7-ის შესაბამისად.

დადგენილება პოზიტიურად აისახება დმანისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობების ნაწილზე.

აზრი გამოთქვეს:

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

მომხრე: 23

წინაღმდეგი:

4. მომხსენებელი : ბექა ლაგურაშვილმა საკრებულოს წევრებს წარუდგინა განკარგულების პროექტი დმანისის მუნიციპალიტეტის მერისათვის მოიჯარის მიერ ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისათვის დაკისრებული პირგასამტეხელოს გადახდისაგან გათავისუფლების შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე (გ.თათელაძე)

აღნიშნული განკარგულების პროექტის თანახმად, მიეცეს თანხმობა დმანისის მუნიციპალიტეტის მერს, დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ გომარეთის მცხოვრების, მოიჯარე გიორგი თათელაძის მიერ, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამატეხელოს 4469,5 (ოთხიათას ოთხას სამოცდაცხრა ლარი და ორმოცდაათი თეთრი) ლარის გადასახადისაგან გათავისუფლების შესახებ.

აზრი გამოთქვეს:

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მომხრე: 23

წინაღმდეგი:

5. მომხსენებელი : ბექა ლაგურაშვილმა საკრებულოს წევრებს წარუდგინა განკარგულების პროექტი დმანისის მუნიციპალიტეტის მერისათვის მოიჯარის მიერ ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისათვის დაკისრებული პირგასამტეხელოს გადახდისაგან გათავისუფლების შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე (ვ.კატშანი)

განკარგულების პროექტის თანახმად, მიეცეს თანხმობა დმანისის მუნიციპალიტეტის მერს, ქ. დმანისის გ.საკაძის ქ.№23-ში მცხოვრების, მოიჯარე ვახტანგი კატშანის მიერ, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამატეხელოს 7084 (შვიდიათას ოთხმოცდაოთხი) ლარის გადასახადისაგან გათავისუფლების შესახებ.

აზრი გამოთქვეს:

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მომხრე: 23

წინაღმდეგი:

6. მომხსენებელი : მაკა ასლანიშვილმა საკრებულოს წევრებს წარუდგინა განკარგულების პროექტი დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების დამტკიცების შესახებ

მიზანი

დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების (შემდგომ – ეთიკისა და ქცევის წესები) მიზანია, სახელმწიფოსა და საზოგადოების წინაშე დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის (შემდგომ – საკრებულოს წევრის) პასუხისმგებლობის გათვალისწინებით, მისთვის განისაზღვროს ქცევის მაღალი ეთიკური სტანდარტები, ხელი შეუწყოს დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიმართ საზოგადოების ნდობის ამაღლებას, საკრებულოს წევრის მიერ თავისი მოვალეობების ღირსეულად, მიუკერძოებლად და კეთილსინდისიერად შესრულებას, საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულების ამაღლებას, მისი რეპუტაციის, პატივისა

და ღირსების დაცვას.

მოქმედების სფერო

1. ეთიკისა და ქცევის წესები ვრცელდება საკრებულოს წევრებზე, რომელიც საკრებულოს წევრის სტატუსიდან გამომდინარე, ადგენს საკრებულოს წევრის ქცევის სტანდარტს, განსაზღვრავს ქცევის წესებს, რომელიც საკრებულოს წევრმა უნდა გაითვალისწინოს საქმიანობის განხორციელებისას და კოლეგებთან, სხვა თანამშრომლებთან, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის დროს.

2. ეთიკისა და ქცევის წესების სამართლებრივი საფუძვლებია: საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი", დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტი, საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტები.

ეთიკისა და ქცევის წესების დაცვის ვალდებულება

საკრებულოს წევრები ვალდებული არიან დაიცვან წინამდებარე წესში ჩამოყალიბებული ეთიკისა და ქცევის ნორმები.

პასუხისმგებლობა ეთიკისა და ქცევის წესების დარღვევისათვის

ეთიკისა და ქცევის წესების დარღვევისათვის საკრებულოს წევრის მიმართ პასუხისმგებლობის ზომები დგინდება საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი", დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით, „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ" საქართველოს კანონითა და საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით.

ეთიკისა და ქცევის წესებში ცვლილების შეტანა

ეთიკისა და ქცევის წესებში ცვლილების შეტანა შესაძლებელია დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაწყვეტილებით.

აზრი გამოთქვეს:

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მომხრე: 23

წინაღმდეგი:

7. მომხსენებელი : ლევან მანთაშაშვილმა საკრებულოს წევრებს წარუდგინა განკარგულების პროექტი ,,დმანისის მუნიციპალიტეტში 2023 წელს ადგილობრივი ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი პროექტების ნუსხის მოწონების თაობაზე''დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 თებერვლის №გ-109.109230584 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

2023 წელს ადგილობრივი ბიუჯეტით განსახორციელებელი პროექტების ნუსხაში შესატანია შემდეგი ცვლილება: პუნქტი 9 „2023 წელს სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების თანადაფინანსება" გაიზარდა 350000 ლარით პროექტის დასრულების შემდგომ საჭიროებამ მოითხოვა და ჯამში შეადგინა 1220000 ლარი.

პუნქტი 10 „2023 წლებში საზედამხედველო/საექსპერტო მომსახურება" ხელშეკრულების ღირებულება გაიზარდა 10%-ის ფარგლებში 39102 ლარით, ვინაიდან მოხდეს დაწყებული სამუშაოებზე ექსპერტიზის დასრულება.

ასაევე დაემატა პუნქტი 17 „ქ.დმანისში ქეთევან წამებულის ქუჩაზე მდებარე მედეათეკასთან (ყოფილი N3 საბავშვო ბაღი) სამანქანო ხიდის და გზის მოწყობის სამუშაოები" ღირებულებით 200377 ლარი.

პუნქტი 18 „ქ.დმანისში მედიათეკასთან მისასვლელი გზის და კოსტავას ქუჩის გარე განათების მოწყობის სამუშაოები“ ღირებულებით 59752 ლარი.

პუქნტი 19 „დმანისის მუნიციპალიტეტში საზღვრის აღმნიშვნელის რეკონსტრუქციის სამუშაოები“ ღირებულებით 104062 ლარი.

პუნქტი 20 „დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ განთიადის საჭიდაო დარბაზის სარეაბილიტაციო სამუშაოები“ ღირებულებით 350000 ლარი.

პუნქტი 21 „დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ოროზმანში ხლოვნურსაფარიანი სპორტული მოედნის მოწყობის სამუშაოები“ 265047 ლარი.

ჯამში იზრდება 1368340 ლარით.

აზრი გამოთქვეს:

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მომხრე: 23

წინაღმდეგი:

8. მომხსენებელი : ლევან მანთაშაშვილმა საკრებულოს წევრებს წარუდგინა განკარგულების პროექტი ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დმანისის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი თანხის განაწილების შესახებ'' დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 30 მარტის №გ-109.109230895 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

2023 წელს სოფლის პროგრამით განსახორციელებელი პროექტების ნუსხაში შესატანია შემდეგი ცვლილება:

1. თავდაპირველად სოფლის კრებების შედეგად შერჩეული პროექტებში 5 სოფელში (ორმაშენიწყლის სისტემის რეაბილიტაცია, ვარდისუბანი ერთი ქუჩის მოხრეშვა, პატარა დმანისი ქუჩების მოხრეშვა და ბოსლები ქუჩის მოხრეშვა) პროექტირებების მომზადების პროცესში გამოირკვა რომ თანხის სიმცირის გამო ვერ განხორციელდებოდა აღნიშნული პროექტები, და სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხა გადანაწილებული იქნა იმავე სოფელში უფრო პრიორიტეტულ სხვა პროექტებზე.

ასევე განსაზღვრულია ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსება 1220000 ლარი.

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მომხრე: 23

წინაღმდეგი:

აზრი გამოთქვეს: თ. ნინიაშვილმა, შ. აკობაშვილმა სოფლის წისქვილთან დაკავშირებით.

ასევე სოფ.დიდ დმანისში ომში დაღუპულთა მემორიალის სკვერში პრობლემაზე, გარე განათების ბოძებთან დაკავშირებით.

კ.ოქრიაშვილმა გამოთქვა მოსაზრება საკრებულოს სხდომებზე დასწრების შესახებ, მოხდეს მოქალაქეების წინასწარი ინფორმირება რათა დაესწროს დაინტერესებული პირი.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის გამო, სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე **პაატა ყულიაშვილი**

სხდომის მდივანი: ლომა გადრანი